პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 78 (6143) 20 1978 წ. აპრილი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ხვალ

ფერგანაში [illegible] რეგბიში სსრ კავშირის XV ჩემპიონატის [illegible] იყრიან უმაღლესი ლიგის კოლექტივები, რომელთა შორის იქნებიან თბილისის „ლოკომოტივი" და „ელვა".

უზბეკეთის ეს ქალაქი პირველად მასპინძლობს ასეთ დიდ შეჯიბრებას. აქ უნდა შეირჩეს ქვეყნის ნაკრების კანდიდატები, რომლებიც სსრ კავშირის პირველი გუნდის ღირსებას დაიცავენ კონტინენტის ჩემპიონატში.

●

(მასალები იხ. მე-2 გვერდზე).

სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

„ლელოს" საგუშაგო

# ყველა ძალა — „ინჟმშენთან"

პარტიის საქალაქო კომიტეტმა და სახალხო დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომმა სანაპიროზე საცურაო აუზის მშენებლობისადმი კონტროლი და ოპერატიული ხელმძღვანელობა თავად რომ იკისრეს, ტრესტ „ინჟმშენის" № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს, რომელიც ამ ბაზას აგებს, დაავალეს მოიჯარე და ქვემოიჯარე ორგანიზაციებისთვის სწრაფად შეედგინა გრაფიკი, იმვარაუდით, რომ ნაგებობა სამაისოდ დამთავრებულიყო.

მაშინ სხვა ბევრი საჭირო ღონისძიებაც გატარდა და მორიგ თათბირზე, გრაფიკის განხილვისას გეგმის არარეალურობაზე სამდურავი არავის დასცდენია. პირიქით, „ინჟმშენიც", ჯანმრთელობის დაცვის სამშენებლო სამმართველოც, ქალაქის საბჭოს სარემონტო ტრესტიც, სანტექნიკოსებიც, ყველა, ვისაც აქ რაღაც უნდა გაეკეთებინა, ერთხმად აღიარებდა, რომ შეუძლებელი არაფერი იყო.

მართალია, ერთი-ორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა მოკრძალებით, რიდით განაცხადა, ვაითუ „ინჟმშენმა" ფრონტი ვერ მოგვცეს და შევრცხვეთო, მაგრამ მთავარი მოიჯარე ირწმუნებოდა: რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ყველაფერს ვიღონებთო.

გრაფიკით თითქმის ყველა ძირითადი სამუშაო 15 აპრილს უნდა დაესრულებინათ. ზოგს — ცოტა ადრე (მაგალითად, იზოლაციის ოსტატები ობიექტიდან 30 მარტს უნდა გასულიყვნენ), ზოგს — უფრო გვიან (მაგალითად, სანტექნიკოსებს 30 აპრილამდე ჰქონდათ ვადა, მაგრამ მაისის დღესასწაულამდე ორი კვირით ადრე უნდა დაემთავრებინათ საქმიანობა).

ახლა, თბილისის საბჭოს სამმართველოს მშენებლები აუზიდან კარგა ხნის გასულები უნდა იყვნენ. — მთავარ საქმეს აპრილის პირველ ათდღიურში, ხოლო 15 აპრილისთვის კი ლინოლიუმის იატაკების, მოზაიკური და გრანიტის ფილების დაგებას, ხელოვნური მარმარილოთი კედლების მოპირკეთებას უნდა მორჩენილიყვნენ. სხვა ორგანიზაციებსაც დაახლოებით ასეთი დავალება ჰქონდათ.

მაშინ მშენებლობის ხელმძღვანელობის ოპერატიული შტაბიც შეიქმნა. მართლაც, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. პარტიის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის საბჭოს აღმასკომის დახმარება საგრძნობი გახლდათ. ყოველ შაბათს, შტაბის სხდომაზე გადაუწყვეტელი საკითხი არ რჩებოდა.

უკვე თებერვლის დასაწყისში სპეციალისტთა რიცხვმა ყველა უბანზე 200 კაცს გადააჭარბა. ყოველდღიურად ათეულ ათასობით მანეთის საქმე კეთდებოდა, მაგრამ...

1978 წლის 15 აპრილი წარსულს ჩაბარდა, აქ კი კვლავ უამრავი საქმეა. გრაფიკი უხეშად დაირღვა. ეს ტრესტ „ინჟმშენის" ხელმძღვანელობას, მის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კარგად არ ახასიათებს, რადგან იანვარში სწორად ვერ განსაზღვრეს დარჩენილი საქმე და საკუთარი ძალები. დიახ, საკუთარი ძალებიც. ამ ორგანიზაციაზე კი ბევრი რამ იყო დამოკიდებული. — პირველ რიგში ქვემოიჯარეების სათანადო მასალებით, სამუშაო ფრონტით უზრუნველყოფა.

სპეციალისტებთან, მშენებლებთან, შტაბის სხდომებზე ბევრჯერ გვსმენია მოიჯარის მისამართით გამოთქმული სამართლიანი საყვედურები, რომ იგი ქვემოიჯარეთ ვერ უქმნის პირობებს: სათანადო

(დასასრული მე-2 გვ.).



## მიზანთან ახლოს

დორტმუნდი, 18 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილიც (სსრ კავშირი) მონაწილეობს, ფინიშის სწორზე გავიდა.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ ნ. გაფრინდაშვილი და დიდოსტატი ი. ფარაგო (უნგრეთი) — 5,5-5,5 ქულა. დიდოსტატ უ. ანდერსონს (შვეცია) 5 ქულა აქვს, დიდოსტატებს ა. გიპსლისს (სსრ კავშირი), რ. კინს (ინგლისი) და საერთაშორისო ოსტატ ს. ტატაის (იტალია) — 4,5-4,5.

დიდი აღმავლობით ითამაშა ნონამ IV ტურში შვეიცარიის ჩემპიონ ვირტენზონთან წაგების შემდეგ. მან ზედიზედ დაამარცხა დიდოსტატი ანდერსონი, ოსტატები კირსეკი (გფრ) და ტომიჩი (იუგოსლავია).

ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივის მეორედ შესრულებისთვის გაფრინდაშვილმა დარჩენილ ოთხ ტურში 2,5 ქულა უნდა მოაგროვოს. ფინიშზე მისი მეტოქეები იქნებიან: VIII ტურში — ფარაგო, IX — ორნდენსენი (გფრ), X — ტატაი და XI — კინი.

## დაძაბული ბრძოლა

ბუდაპეშტის ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომლის მონაწილეთა შორის არის ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ჩიბურდანიძე, 5 ტურმა განვლო.

ერთპიროვნულად ლიდერობს უნგრეთის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ჟ. ვერეცი (4 ქულა). ჩიბურდანიძეს და კიდევ ოთხ სხვა მონაწილეს 3,5-3,5 ქულა აქვთ.

ჭადრაკი

## ერთპიროვნული ლიდერი

ბიდგოშჩში (პოლონეთი) ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელი, ოსტატი ნ. გურიელი მონაწილეობს, გუშინწინ VI ტური შედგა.

გურიელმა დაამარცხა ბულგარელი ვ. კრუმოვა. წინადღით, V ტურში იგი დაუზავდა გოგონათა შორის ევროპის თასის პირველ მფლობელს ბ. სიკორას (პოლონეთი).

6 ტურის შემდეგ გურიელს 5,5 ქულა აქვს. II ადგილზეა ჩეხოსლოვაკიელი საერთაშორისო ოსტატი ხ. ვოკრალოვა — 4.

## დაიწყო მეორე წრე

სოჭი, 19 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა მოჭადრაკეთა შესარჩევ მატჩ-ტურნირში VIII ტურით შეჯიბრების მეორე წრე დაიწყო.

ამ დღეს მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა. კიეველმა ბ. ტაბოროვმა მოუგო ზ. ლანკას (რიგა). სხვა პარტიები გადაიდო.

თბილისელი ზ. აზმაიფარაშვილი შეხვდა ა. ხარიტონოვს (ივანოვო). შუა თამაშში მან შეცდომით შესწირა ფიგურა და მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა. ძნელია ამ პარტიის გადარჩენა.

7 ტურიდან გადადებულ ლანკა — ლ. ფსახისის (კრასნოიარსკი) პარტიაში გაიმარჯვა კრასნოიარსკელმა ოსტატმა.

8 ტურის შემდეგ ზ. აზმაიფარაშვილს, ს. დოლმატოვს (მოსკოვი), ლ. იურტაევს (ფრუნზე) და ბ. ტაბოროვს 4,5-4,5 ქულა აქვთ, ოღონდ პირველ სამ მოჭადრაკეს — შვიდი შეხვედრიდან.



# ემზადებიან ტაშკენტში საასპარეზოდ

უკვე შვიდი წელიწადია თბილისში არსებობს ტანვარჯიშის უმაღლესი ოსტატების სკოლა (დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ჯულელი), სადაც დედაქალაქის საუკეთესო მწვრთნელების ხელმძღვანელობით სპორტსმენები ემზადებიან მომავალ საპასუხისმგებლო ასპარეზობებისათვის...

რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი მიხეილ ბოგუსი ახლა ამ სკოლის მწვრთნელია. აი, რა გვიამბო მან:

— სკოლაში მრავლადაა გვყავს პერსპექტიული, იმედის მომცემი ახალგაზრდები. მ. ციმაკურიძემ არა ერთ წარმატებას მიაღწია საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრებში. ახლა იგი სსრ კავშირის ნაკრების წევრია და მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პირველობაში, რომელიც კუიბიშევში გაიმართება.

რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონია მოსწავლეთა შორის სპორტის ოსტატობის კანდიდატი მ. პაპიაშვილი. იგი მონაწილეობდა მეორე საერთაშორისო თამაშობებში და სსრ კავშირის ნაკრებში

ვარჯიშედ ითვლება. ამჟამად ვარჯიშობს სპორტის ოსტატის პროგრამით, მწვრთნელ ო. მიქელაძის ხელმძღვანელობით.

პროფკავშირებისა და რესპუბლიკის მოზარდთა ყოფილი ჩემპიონი, პირველთანრიგოსანი პ. ლეონტიევი მწვრთნელ ვ. გასპარიანის ხელმძღვანელობით ოსტატის პროგრამას ეუფლება. იმე-

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •

სურათზე: სკოლის უფროსი მწვრთნელი ჯ. კვანტალიანი მოსწავლეთა ერთ ჯგუფთან.

სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

# ყველა ძაფი — „ინჟმშენთან“

დასასრული

მასალებით, ნაკეთობებით, დანადგარებით ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ შტაბის უკანასკნელ სხდომაზე გაგონილმა ყველაფერს გადააჭარბა.

ეს სხდომა სწორედ იმ დღეს შედგა, როდესაც გრაფიკით დადგენილი ვადა მთავრდებოდა. საუბარი ალბათ ისევ ძველი კალაპოტით წარიმართებოდა, რომ სახალხო დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს კ. მეგრელიშვილს მწვავედ არ დაესვა საკითხი. მან „ინჟმშენის“ მთავარ ინჟინერს, ტრესტის ხელმძღვანელობას, ქვემოიჯარეებს სამართლიანად უსაყვედურა მოუქნელობა, შემრიგებლობა, ურთიერთმაამებლობა...

შტაბის უფროსმა თ. ებრალიძემ დაიწყო ისევ იმით, თუ უკანასკნელი კვირის გეგმები ვინ როგორ შეასრულა, თქვა, რომ ქალაქის საბჭოს სამშენებლო-სარემონტო ტრესტმა 2-ის მაგიერ 2,2 ათასი მანეთის საქმე გააკეთა, „საქსპორტმშენმა“ — 3,3 ათასის ნაცვლად 6 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა და სხვ. არც ის დაუმალავს, რომ საერთო გეგმაში ჯერ კიდევ დიდი დარღვევაა, მაგრამ კონკრეტულ დამნაშავეებზე არაფერი თქვა. არადა, ოთხივე აბაზანის, ობიექტის მარცხენა მხარის, დარბაზების, პრესკორპუსის, თითქმის ყველა უბნის სამუშაოების საბოლოო წერტილამდე კიდევ ბევრი საქმეა დარჩენილი.

საიზოლაციო სამუშაოებიც არ არის დასრულებული. ხშირმა წვიმებმა მშენებლები ძალზე შეაფერხა, მაგრამ განა ესაა მთავარი მიზეზი? ვფიქრობთ, ამის მთავარი მიზეზი მშენებლობის ხელმძღვანელობის ცუდი ორგანიზაციაა.

როცა საკითხი პრესკორპუსის მოწყობის გაჭიანურების მიზეზთა ძიებამ შეკრებილნი „ინჟმშენთან“ მიიყვანა, როცა „საქსპორტმშენის“ გეგმების დარღვევის შესახებ ატყდა დავა, დამნაშავე ისევ მთავარი მოიჯარე აღმოჩნდა, ერთი სიტყვით, ყველა ძაფი ტრესტ „ინჟმშენთან“ იყრის თავს.

ქალაქის საბჭოს სარემონტო-სამშენებლო ტრესტის წარმომადგენელმა თქვა, რომ პრესკორპუსის სახურავის მოსაწყობად „ინჟმშენს“ ფრონტი 3 აპრილს უნდა გაეხსნა. სინამდვილეში ეს საკითხი 15 აპრილისთვის კიდევ არ იყო გადაწყვეტილი.

იმ უბანზე, სადაც „საქსპორტმშენი“ მუშაობს, წყალი ისევ ჩამოდის, ნალესი ზიანდება, შეღებვა და შეკიდული ჭერის მოწყობა ფერხდება, ჯანმრთელობის დაცვის სამშენებლო სამმართველოს სპეციალისტებთან, სანტექმონტაჟთან, პროვენტილაციასთან, იუქავტომატიკასთან მოიჯარეს პრეტენზია არ აქვს, სამაგიეროდ ეს ორგანიზაციები უკმაყოფილონი არიან მთავარი მოიჯარის გარჯითა და ხელშეწყობით.

ოთხი აბაზანიდან მოხერხდა მხოლოდ ორის დატორკრეტება და წყლით გამოცდის მოწყობა, დიდი აუზის დატორკრეტება ახლა მიმდინარეობს, წყალში სახტომ აუზში კი ამ საქმეს როდის შეუდგებიან, მშენებლებმაც არ იციან, ვინაიდან ჯერ კიდევ კარგა ხანს გასტანს წყალში სახტომი დანადგარების ყალიბების აყვანა და ბეტონის ჩასხმა.

აბაზანები მოპიქული ფილებით მოსაპირკეთებელია, დღის წესრიგში დადგა სხვა საკითხებიც — იქმარებს თუ არა განათება ფერადი ტელეგადაცემებისთვის? გაირკვა, რომ არა. გამოსავალს ახლა ეძებენ (?!). ბევრი რამ შემოსაზიდია. სამწუხაროდ, მთავარმა მოიჯარემ ვერ თქვა რამდენი კვად-[illegible] ბადეა საჭირო ტრიბუნების, აბაზანებისა და სხვათა მოსაწყობად. აკლიათ გრანიტი. პანო დღემდე არ ჩანს. მოსაგვარებელია ინტერიერის მოპირკეთების საკითხი...

შტაბის უკანასკნელი სხდომიდან ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა: ტრესტ „ინჟმშენში“ თავს ნაკლებად იწუხებენ მასალების შოვნითა და შემოზიდვით, მთლიანად პარტიის საქალაქო კომიტეტის, თბილისის საბჭოს აღმასკომის იმედზე არიან.

თუ თბილისის ამ საწყლოსნო ბაზის მშენებლობის ტემპის ამაღლებისა და მომარაგების საქმის გასაუმჯობესებლად გადამჭრელი ღონისძიება არ გატარდა, საეჭვოა აუზი რესპუბლიკის სპორტსმენთა სამსახურში სექტემბრისთვის მაინც ჩადგეს. არადა, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის საქართველოს მოცურავეების, წყალში მხტომელებისა და წყალბურთელების მოსამზადებლად ამ ბაზას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ო. გელაშვილი.



# მეთხუთმეტედ, ოვალური ბურთით

ამიერკავკასიის რკინიგზის საბჭოს გუნდი „ლოკომოტივი“ ჩვენს რესპუბლიკაში რეგბისტთა მეორე კოლექტივი იყო, რომელიც საკავშირო სარბიელზე წარმატებით გავიდა — 1968 წლის ქვეყნის ჩემპიონატში თბილისელმა რკინიგზელებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

მათ ასეთივე წარმატებას მიაღწიეს 1972 წელს, თასის პირველი გათამაშების ფინალში კი ძვირფასი ჯილდო ქვეყნის ჩემპიონთან — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან უშეღავათო ბრძოლაში მინიმალური უპირატესობით დათმეს.

გუნდს დასანანი ჩავარდნებიც ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა მოთამაშე-მწვრთნელი თ. ბენდიაშვილი, კოლექტივის საქმიანობაში არსებულმა ხარვეზებმა თანდათან იკლო, და უკვე შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში „ლოკომოტივი“ მოგვევლინა ერთ-ერთ პოტენციურ გუნდად, რომელმაც რამდენიმე სიახლე განახორციელა.

საბჭოთა კავშირის მორიგი პირველობისა და თასის გათამაშებისთვის რკინიგზელებმა მზადება იანვარში დაიწყეს. დარბაზში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა სპორტსმენების ფიზიკური ძალების აღდგენას. მერე გუნდი ბაკურიანში გაემგზავრა. აქ გამართულ ორკვირიან შეკრებას ამაოდ არ ჩაუვლია. გაწეული მუშაობის ნაყოფიერება დადასტურდა სოფიაში ბულგარელ რკინიგზელებთან ჩატარებულ საერთაშორისო შეხვედრაში, სადაც ორივეჯერ თბილისელებმა იმარჯვეს.

## სტარტზეა «ლოკომოტივი»

„ლოკომოტივი“ შინ დაბრუნებისთანავე თბილისში, საკუთარ ბაზაზე ატარებდა ყოველდღიურ წვრთნას. მონდომებით ემზადებოდნენ, როგორც გუნდის ვეტერანები, ისე ახალწვეულები თბილისის „სპარტაკიდან“ (მწვრთნელი ბ. კევლიშვილი) — გ. გოგიშვილი, ვ. მარჩუკი, ნ. კობერიძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (მწვრთნელი გ. მიქაბერიძე) გუნდიდან — ზ. ჩაჩანიძე, ბ. მაისურაძე და ლ. მგელაძე.

თბილისის „ლოკომოტივმა“ საკავშირო ჩემპიონატის წინ შავი ზღვის სანაპიროზე ორი საკონტროლო შეხვედრა გამართა და ორივე თავის სასარგებლოდ დაამთავრა. ნან [illegible] შარშანდელ ჩემპიონს — სამხედრო-საჰაერო აკადემიის კოლექტივს (10:6), მერე კი დაამარცხა საკავშირო ჩემპიონატის I ლიგის ბინადარი — რიგის რაფ-ი (28:16).

ვფიქრობთ, „ლოკომოტივი“ მიმდინარე სეზონში გულშემატკივრებს კარგი თამაშით გაახარებს.

ა. გიორგაძე,
ხ. რამინიშვილი.

# ჯერ ფერგანაში, შემდეგ — მიმოსვლით

**ხვალ** ფერგანაში საზეიმოდ გაიხსნება უმაღლესი ლიგის გუნდების მორიგი **საკავშირო ჩემპიონატი რეგბიში.** წინანდელი პირველობებისგან განსხვავებით წლევანდელი ასპარეზობის პირველი ოთხი ტურის ყველა მატჩი ფერგანაში უნდა გაიმართოს.

გათამაშების სისტემის ერთგვარი შეცვლა სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატების უკეთ შერჩევის აუცილებლობითაა ნაკარნახევი. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი წლეულს მეორედ გამოვა „ოთხთა ტურნირში“, რომელმაც საგაისოდ კონტინენტის უძლიერესი გუნდების ჩემპიონატის კიდევ ერთი მონაწილე უნდა დაასახელოს.

საბჭოთა სპორტსმენები პირველ შეხვედრას ამ დონეზე 7 მაისს ხარკოვში გფრ-ის რეგბისტებთან ჩაატარებენ.

ფერგანის ტურნირი 27 აპრილს დამთავრდება, რის შემდეგ უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობაზე ერთთვიანი „არდადეგები“ იწყება. სამაგიეროდ, ნაკრების წევრებს სხვა საზრუნავი ექნებათ.

ქვეყნის ჩემპიონატი 28 მაისს გაგრძელდება. ამ დღიდან მოქმედებაში შევა გათამაშების ძველი სისტემა — მატჩები მიმოსვლით.

გთავაზობთ უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის I წრის კალენდარს: **ფერგანაში. 21 აპრილი.** ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) — „ავტომობილისტი“ (მოსკოვი), „სლავა“ (მოსკოვი) — „პოლიტეხნიკი“ (კიევი), „ფილი“ (მოსკოვი) — „პრიმორეცი“ (ლენინგრადი), „სპარტაკი“ (კიევი) — „ელვა“ (თბილისი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი);

**23 აპრილი.** „ავტომობილისტი“ — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ელვა“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი), „პრიმორეცი“ — „სპარტაკი“, „პოლიტეხნიკი“ — „ფილი“, სსა — „სლავა“;

**25 აპრილი.** „სლავა“ — „ავტომობილისტი“, „ფილი“ — სსა, „სპარტაკი“ — „პოლიტეხნიკი“, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ელვა“, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „პრიმორეცი“;

**27 აპრილი.** „ავტომობილისტი“ — „ელვა“, „პრიმორეცი“ — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „პოლიტეხნიკი“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი), სსა — „სპარტაკი“, „სლავა“ — „ფილი“.

**მიმოსვლით. 28 მაისი** „ფილი“ — „ავტომობილისტი“, „სპარტაკი“ — „სლავა“, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — სსა, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „პოლიტეხნიკი“, „ელვა“ — „პრიმორეცი“;

**4 ივნისი.** „ავტომობილისტი“ — „პრიმორეცი“, „პოლიტეხნიკი“ — „ელვა“, სსა — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „სლავა“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი), „ფილი“ — „სპარტაკი“;

**11 ივნისი.** „სპარტაკი“ — „ავტომობილისტი“, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ფილი“, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სლავა“, „ელვა“ — სსა, „პრიმორეცი“ — „პოლიტეხნიკი“;

**18 ივნისი.** „ავტომობილისტი“ — „პოლიტეხნიკი“, სსა — „პრიმორეცი“, „სლავა“ — „ელვა“, „ფილი“ — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი);

**25 ივნისი.** „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ავტომობილისტი“, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“, „ელვა“ — „ფილი“, „პრიმორეცი“ — „სლავა“, „პოლიტეხნიკი“ — სსა.

**რეგბიში** უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის განახლებამდე (28 მაისი) უნდა დამთავრდეს **ქვეყნის თასის მესამე გათამაშების** ოცდამეთორმეტედფინალური შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობს საქართველოს სამი გუნდი — ქუთაისის „სახლმშენი“ და რესპუბლიკის თასის გათამაშების ფინალისტები.

საქართველოს თასის მფლობელი 14 მაისს ნალჩიკში შეხვდება ადგილობრივ „უნივერსიტეტს“, რომელიც უმაღლეს ლიგას შარშან გამოეთხოვა, რესპუბლიკის თასის გათამაშების ფინალისტი კი იმავე დღეს ქუთაისის „სახლმშენს“ მიიღებს.

სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლას ოცდამეთორმეტედფინალიდან

# ლიდერები — მერვედფინალიდან

დაიწყებს უმაღლესი ლიგის მხოლოდ ორი გუნდი — მოსკოვის „ავტომობილისტი“ და კიევის „პოლიტეხნიკი“. ამ ლიგის სხვა გუნდები — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის კოლექტივი, მოსკოვის „ფილი“, „სლავა“ და „ლოკომოტივი“. თბილისის „ლოკომოტივი“ და „ელვა“, კიევის „სპარტაკი“ და ლენინგრადის „პრიმორეცი“ პირველ სათასო შეხვედრებს გამართავენ მერვედფინალში, სადაც ისინი მეთექვსმეტედფინალურ მატჩებში გამარჯვებულებს საკუთარ მოედნებზე შეხვდებიან.

მერვედფინალები 20 აგვისტოს ჩატარდება. შემდეგ თასის გათამაშების კალენდარი ასეთია: მეოთხედფინალები — 15 ოქტომბერი, ნახევარფინალები — 22 ოქტომბერი, ფინალი — 29 ოქტომბერი.

თბილისის გუნდები გათამაშების ბადის ზედა ნახევარში არიან. მერვედფინალურ მატჩებში წარმატების მოპოვების შემთხვევაში მეოთხედფინალში „ელვის“ ყველაზე სავარაუდო მეტოქე იქნება სსა, ხოლო „ლოკომოტივისა“ — „ფილი“.

# ვის დარჩება საქართველოს თასი?

**ჩვენი** რესპუბლიკის რეგბისტთა ჩემპიონატის I წრის შეხვედრების (რომლებიც ჭიათურაში გაიმართა) დამთავრების შემდეგ გუნდები საქართველოს თასისთვის ბრძოლაში ჩაებნენ.

უკვე გაიმართა მეოთხედფინალები. ჭიათურაში სამთამადნო კომბინატის გუნდმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი მიიღო, მასთან ბრძოლაში დამარცხდა (3:46) და გათამაშებას გამოეთიშა.

ჩოხატაურელებმა მოუგეს თბილისის უნივერსიტეტს — 13:3, ქუთაისელებს მედინსტიტუტის გუნდის გამოუცხადებლობის გამო მოგება ჩაეთვალათ, „სპარტაკმა“ სძლია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეგბისტებს — 30:0.

# კონტინენტის პირველობაზე

**მართალია** საბჭოთა კავშირში დიდი რეგბის სეზონი ხვალ იწყება, მაგრამ ევროპაში იგი კარგა ხანია გრძელდება: ამ დღეებში კონტინენტის ჩემპიონატზე („ა“ ჯგუფი) გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა, რომლებმაც ორი უძლიერესი კოლექტივის ვინაობა გაარკვია.

ოვალური ბურთის ფრანგმა ოსტატებმა თავიანთ უკანასკნელ შეხვედრაში იტალიის სპორტსმენებს უმასპინძლეს და დაამარცხეს ისინი — 31:9. საფრანგეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონობა მეთერთმეტედ (14-დან) მოიპოვა.

კონტინენტის პირველობაში, რომელშიც ექვსი უძლიერესი გუნდი ერთ წრედ მიმოსვლით თამაშობდა, რუმინელებმა კვირას წლევანდელი პირველობისთვის სარეკორდო ანგარიშით (74:3) შინ მოუგეს ესპანელებს და მეორე ადგილი დაიკავეს.

მესამე ადგილის საკითხი გაირკვევა დარჩენილ სამ შეხვედრაში, რომლებშიც პოლონეთის, ესპანეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები ეთამაშებიან ერთმანეთს.

სსრ კავშირის ნაკრები „ბ“ ჯგუფში თამაშობს. აქ იგი უმაღლესი ლიგის ერთადერთი საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს. საბჭოთა სპორტსმენები 7 მაისს ხარკოვში გფრ-ის რეგბისტებთან ითამაშებენ. აქ მასპინძლებს 18 ქულაზე ნაკლები სხვაობით წაგებაც აძლევთ ხელს. ამ მინიმალური პროგრამის შესრულებითაც კი საბჭოთა სპორტსმენები იუგოსლავიის რეგბისტებთან ორი გადასასვლელი თამაშის უფლებას მოიპოვებენ (ეს მატჩები 14 და 21 მაისს ჩატარდება). გამარჯვებული გუნდი მომავალ სეზონში კონტინენტის უძლიერესთა ჯგუფში იასპარეზებს.





# ემზადებიან ტაშკენტში სასპარეზოდ





დასასრული

ებს ვამყარებთ, აგრეთვე, რესპუბლიკის შარშანდელ ჩემპიონ ქ. სულხანიშვილზეც (მწვრთნელი ო. მიქელაძე).

ვაჟებს არც გოგონები ჩამორჩებიან. საქართველოს ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ი. ხატიაშვილი საერთაშორისო შეხვედრების მონაწილეა და ყველაზე რთულ ილეთებს ასრულებს (მწვრთნელი მ. კრასილნიკოვა).

სსრ კავშირის ნაკრების წევრი ს. ნანიშვილი (მწვრთნელი დ. სირაძე-გიუტაშვილი) ამჟამად მოსკოვში ვარჯიშობს, ხოლო სპორტის ოსტატი ლ. გოლოვატენკო ახლახან დაბრუნდა იუგოსლავიიდან, სადაც საერთაშორისო შეხვედრაში II ადგილი დაისაკუთრა (მწვრთნელი ვ. კლიმოვა). საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრობის კანდიდატია ქ. ციმაკურიძე (მწვრთნელი ე. ქოვლიევა).

წინ კი მრავალი ასპარეზობა ელით ტანმოვარჯიშეებს: 2 — 5 მაისს თბილისში ქალაქის პირველობა გაიმართება, ივნისში კი მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა. გამარჯვებულები ტაშკენტში იასპარეზებენ.

 რ. შანშიაშვილი.

* * *

სურათებზე: სპორტის ოსტატობის კანდიდატი ს. მაისურაძე ძელზე ვარჯიშისას; მ. ბოგუსი (მარჯვნივ) ესაუბრება საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს შ. ცირეკიძეს; პირველთანრიგოსან გ. თოთლაძეს ავარჯიშებს მწვრთნელი ნ. ჰანტურია; პირველთანრიგოსანი ვ. ციბაძე ორძელზე ვარჯიშისას.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## სსრ კავშირის პირველობა

## ფეხბურთი

# მეორე ლიგა

**18 აპრილს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „გურია“ (ლანჩხუთი) — „გასტელო“ (უფა) 2:0

ლანჩხუთელ ფეხბურთელებს იერიშები არ შეუნელებიათ მთელი ტაიმის მანძილზე, მაგრამ პირველმა 45 წუთმა განვლო, ანგარიში კი არ გახსნილა. ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა მეგრელაძემ, შემდეგ ჩხაიძემ მოახვედრა ძელს საჯარიმო დარტყმა.

მასპინძლებმა უფრო ნაყოფიერად ჩაატარეს მეორე ტაიმი. ახალი განახლებული იყო თამაში, როცა „გასტელოს“ მცველმა მაქსიმოვმა თავისი კარის წინ ხელით გააჩერა ბურთი. პენალტი ზუსტად დაარტყა ნემსაძემ — 1:0. მცირე ხანში სტუმრებს კვლავ მოუხდათ თამაშის ცენტრიდან დაწყება სევასტოპულოს გარღვევის შემდეგ.

ს. ჟორდანია.

### „დინამო“ (ზუგდიდი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 4:2

ზუგდიდელ ფეხბურთელთა კოლექტივი მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს, მოქმედებს კოლექტიურად, მონდომებით. სულ რამდენიმე წუთის დაწყებული იყო თამაში, როცა სტუმრების მეკარე ფედოტოვს მოუხდა ბადიდან გამოეტანა გუნიას მიერ კარში გაგზავნილი ბურთი, მე-14 წუთზე კი ნაჭყებიამ მეორედ აიძულა მეკარე შეესრულებინა ეს უსიამოვნო პროცედურა.

შუა ტაიმში ტოლიატელებმა რამდენადმე გამოასწორეს მდგომარეობა, კონტრშეტევებიც განავითარეს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. შესვენების წინ კი ნაჭყებიამ მესამე გოლით დაამთავრა თავისი რეიდი.

„ტორპედომ“ წარმატებით დაიწყო მეორე ტაიმი, როცა ვაჟიგოვმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა. შემდგომში ორივე გუნდის კარში დაინიშნა 11-მეტრიანები, რომლებიც კარგად გამოიყენეს ნაჭყებიამ და ვაჟიგოვმა და ანგარიში 4:2 ზუგდიდელებმა ბოლომდე შეინარჩუნეს.

გ. ალშიბაია.

### „დინამო“ (სოხუმი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 2:0

სოხუმელებმა შესანიშნავად დაიწყეს თამაში და მატჩის ბედი ფაქტიურად დებიუტშივე გადაწყვიტეს: ჯერ მე-9 წუთზე, ხოშტარიამ კარგად გამოიყენა ბოხაშვილის გადაცემა, მე-14 წუთზე კი ქანთარიამ მეორე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა რატომღაც უკლეს ტემპს და საშუალება მისცეს მოწინააღმდეგეს გაეთანაბრებინა თამაში. ეს განსაკუთრებით ითქმის თავდამსხმელებზე, რომელთა იერიშები მოკლებული იყო ადრინდელ სიმწვავეს.

შ. ჯალაღონია.

### „დინამო“ (ბათუმი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 4:1

მაყურებლები მოელოდნენ, რომ წინა ტურში განცდილი მარცხის შემდეგ დინამოელები თავიდანვე შეტევით დაიწყებდნენ თამაშს, მაგრამ დრო გადიოდა, ბურთი კი შუა მინდორს არ სცილდებოდა. ამას მოჰყვა ის, რომ მე-10 წუთზე პოლიხინმა დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან დაარტყა და ბათუმელთა მეკარე სურგულაძემ მხოლოდ თვალი გააყოლა ბურთს, რომელიც ბადეში ჩაეშვა.

ამ გოლის გაქვითვა დინამოელებმა მხოლოდ მე-35 წუთზე შეძლეს ბოხაშვილ — ბეჟანიძე — გორგილაძის კომბინაციის შემდეგ — 1:1.

გარდატეხა თამაშში მოხდა შესვენების შემდეგ, როცა მასპინძლები მთლიანად დაეუფლნენ ინიციატივას, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თავდამსხმელმა გორგილაძემ, რომელმაც ჯერ პენალტით და მერე თამაშიდან, უკვე შეხვედრის დასასრულს, ზედიზედ გაიტანა 3 ბურთი „ტურბინას“ კარში.

ო. მურვანიძე.

### „დილა“ (გორი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 2:0

გორელთა გუნდს ახლა ახალი უფროსი მწვრთნელი ჰყავს — სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. მეტრეველი. მან თავის ფეხბურთელებს დავალება მისცა თავიდანვე ეწარმოებინათ შეტევები და ადრევე მიეღწიათ წარმატებისთვის. გუნდმა, მართლაც, სწრაფი შეტევით დაიწყო თამაში, ბაქოელები თითქმის ვერ სცილდებოდნენ თავიანთ საჯარიმო მოედანს. მაგრამ მწვრთნელის მთავარი დავალება — კარის აღება, პირველ ტაიმში განუხორციელებელი დარჩა.

მხოლოდ თამაშის 68-ე წუთზე შეძლო „დილამ“ ანგარიშის გახსნა და ეს გააკეთა ბუზალაძემ ხუციშვილის გადაცემის შემდეგ — 1:0. წარმატებას მოჰყვა ახალი იერიშები. ერთ-ერთი შეტევისას ბერიკაშვილმა დაასწრო ყველას და მეორე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. საინტერესო შეხვედრამ გორელებს 2 ქულა მოუტანა.

ი. თევდორაშვილი.

### „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 2:1

მიმდინარეობდა თამაშის პირველი წუთი, როცა „პროგრესის“ კართან უკვე 3 სახიფათო მომენტი შეიქმნა, შემდეგ კი დვალიშვილმა გახსნა ანგარიში. ასეთ აქტიურ დასაწყისს ასეთივე გაგრძელება მოჰყვა, ლოკომოტიველები თითქმის არ შორდებოდნენ მოპირდაპირე საჯარიმო მოედანს, მაგრამ დაცვის კარგი თამაშის გარდა „პროგრესს“ სპორტული იღბალიც წყალობდა: მესიაჩენკომ, ჩახუნაშვილმა, დვალიშვილმა ძელს მოახვედრეს ბურთი.

ასევე მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც. „ლოკომოტივი“ კვლავ განუწყვეტლივ უტევდა, რაც დამთავრდა დვალიშვილ — ჩახუნაშვილ — ბახტაძის სწრაფი კომბინაციით და მეორე გოლით.

კიროვაბადელთა კართან კვლავ და კვლავ უშედეგოდ მთავრდებოდა მასპინძელთა შეტევები, ერთ-ერთ მომენტში კი „პროგრესი“ კონტრიერიშზე გადავიდა და ისმაილოვმა გაქვითა 1 გოლი.

ა. სირაძე.

დამთავარდა ასეთი შედეგებით: „შირაკი“ (ლენინაკანი) — „დინამო“ (კიროვი) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „რუბინი“ (ყაზანი) 2:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 1:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 1:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 2:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:1.

# საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

## ფარიკაობა

საქართველოს მოფარიკავეებმა დონეცკში გამართულ „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ყველას აჯობეს გუნდურ შეჯიბრებაში. საქართველოს ბურევესტნიკელებს ასეთი წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევიათ. მეორე იყო რსფსრ-ის, ხოლო მესამე — უკრაინის გუნდი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარგზავნილები შეჯიბრების პირველი დღიდანვე ლიდერობდნენ. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ძირითადად გამოდიოდნენ ის მოფარიკავეები, რომლებსაც რესპუბლიკის ღირსების დაცვა მოუხდებათ საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში.

ხმლით მოფარიკავე ვაჟთა შორის I და II ადგილები დაიკავეს, შესაბამისად, ი. სიფრაშვილმა და ტ. ბობოხიძემ. ჭაბუკებში საუკეთესო იყო გ. პაიჭაძე, მისი თანაგუნდელი დ. ბუხაიძე კი III ადგილზე გავიდა.

საქართველოს ხმლით მოფარიკავეებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს გუნდურ ბრძოლაშიც.

რაპირისტთა შეჯიბრებაში ჭაბუკთა შორის თავი ისახელა ვ. აფციაურმა, ხოლო ვ. გოქაძე III ადგილზე გავიდა. ამ სახეობაში საქართველოს გუნდმა II ადგილი დაიკავა.

დაშნით მოფარიკავე ჭაბუკებში მესამე იყო გ. ჯიღაური. გუნდურ პირველობაში საქართველოს კვლავ II ადგილი ხვდა.

ამ შეჯიბრებისთვის გუნდს ამზადებდნენ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ტ. მესხი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ს. აჯიმამუდოვი (უფროსი მწვრთნელი), შ. დარასელია, ტ. ტროფიმოვა, გ. ლორთქიფანიძე, თ. ძაგანეიშვილი და სპორტის ოსტატი მ. კიკალიშვილი.

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც ჩვენი რესპუბლიკის 17 წარმომადგენელია (7 ჭაბუკი და 10 ვაჟი).

გ. ამირიძე.

# ტელეტაიპის ლენტიდან

**ვენეცია.** მოფარიკავეთა დიდ საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, რაპირისტმა ა. რომანკოვმა II ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა ფრანგმა სპორტსმენმა დ. ფლამანმა, რომელმაც ფინალში 5-დან ოთხი შეხვედრა მოიგო. III ადგილზე გავიდა ასევე ფრანგი მოფარიკავე ბ. ბოშერი.

**ლონდონი.** ინგლისის ქალაქ პრესტონში გამართულ ბადმინტონისტთა ევროპის პირველობის შეჯიბრებებში ჩემპიონის ყველა ტიტული მოიპოვეს ინგლისისა და დანიის წარმომადგენლებმა. სუსტად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც გუნდური VIII ადგილი დაიკავეს. ისინი ახლა ჩემპიონატის მეორე ჯგუფში იასპარეზებენ.

**პრაღა.** მაგიდის ჩოგბურთში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა ბუდაპეშტის „სტატისტიკამ“, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენი ქალები, როგორიც არიან ი. მაგოში, ბ. კიშხაზი და გ. საბო. ფინალში უნგრელმა სპორტსმენებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ვლაშიმას „სპარტაკი“ — 5:2.

**ალმა-ათა.** სსრ კავშირის თასზე მოციგურავეთა შეჯიბრებაში მოსკოველმა ნ. პეტრუსიოვამ მრავალჭიდის ჯამში მოაგროვა 173,348 ქულა და მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა. სპრინტერულ მრავალჭიდში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა მსოფლიო ჩემპიონმა, სმოლენსკელმა ლ. სადჩიკოვამ — 167,450. პეტრუსიოვა და სადჩიკოვა საკავშირო თასების მფლობელები არიან. საკავშირო თასი მოიპოვეს „ბურევესტნიკის“ მოციგურავეებმა.

**ჩელიაბინსკი.** სპორტის სასახლე „იუნოსტში“ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში სპორტულ ტანვარჯიშში სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობს მ. ფილატოვა (ლენინსკ-კუზნეცკი). ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა 37,6 ქულის მოგროვება შეძლო. მოსკოველ ე. მუხინას ლიდერზე სამი მეათედი ქულით ნაკლები აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან: ვ. ქიდუნოვა (მოგილიოვი), ს. გროზდოვა (როსტოვი), ნ. ტერეშჩენკო (უსტ-ომჩუკი, მაგადანის ოლქი).

ვაჟთა შორის ყველას აჯობა 20 წლის მოსკოველმა ვ. მარკელოვმა და 110,65 ქულით კვლავ მოიპოვა მრავალჭიდში უძლიერესის სახელი. II-III ადგილები, ერთნაირი შედეგით (109,4) გაიყვეს ვორონეჟელმა ა. ტკაჩოვმა და ერევნელმა ე. აზარიანმა. სამი მეოთხედი ქულით ნაკლები აქვს IV ადგილზე გასულ ლენინგრადელ ა. დიტიატინს. გუნდურ ჩათვლაში I ადგილზეა საბჭოთა არმიის პირველი ნაკრები — 267,5 ქულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაწინაურდა ტუკმაკოვი

ლვოვში, ვაჟთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში სამშაბათს X ტურის შეხვედრები გაიმართა.

წარმატებით იბრძოლა ვ. ტუკმაკოვმა (ოდესა) და სძლია ე. სვეშნიკოვს (ჩელიაბინსკი). ყაიმზე შეთანხმდნენ ა. კოჩიევი (ლენინგრადი) — რ. ვაგანიანი (ერევანი), ე. გელერი (მოსკოვის ოლქი) — ვ სმისლოვი (მოსკოვი) და ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ვ. სავონი (ხარკოვი).

10 ტურის შემდეგ ვ. ტუკმაკოვს 6,5 ქულა აქვს, ი. ბალაშოვს (მოსკოვი) — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ა. კოჩიევს, რ. ვაგანიანს — 5-5 (1-1).

## ყველაზე შედეგიანი ტური

საქართველოს ვაჟთა 39-ე ჩემპიონატმა, რომელიც თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს, უნდა გამოავლინოს სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის მასობრივი ტურნირის სამი მონაწილე. ეს გარემოება სიმძაფრეს მატებს ოსტატთა ყოველ შეხვედრას.

გ. ზაიჩიკ — ე. უბილავას პარტიაში ხუთსაათიანი ბრძოლა ყაიმით დამთავრდა. საქართველოს ჩემპიონმა ზ. სტურუამ მე-15 სვლაზე ი. კუზმინს ხარისხი მოუგო, 33-ე სვლაზე მას უკვე ზედმეტი ეტლი ჰქონდა, მაგრამ ახალგაზრდა კუზმინი განაგრძობდა უიმედო წინააღმდეგობას, ვიდრე კიდევ უფრო არ იზარალა. ი. ჩიქოვანმა მოუგო ი. ცქიტიშვილს.

ჩანს, დ. გედევანიშვილი საუცხოო ფორმაშია. მან მეშვიდე ტურში მოუგო გ ციხელაშვილს.

პირველი გამარჯვება იზეიმეს ნ. ტერაშვილმა (რუსთავი) და ლ. ნეურონოვმა (ბათუმი). პირველმა სძლია მ. არჩვაძეს (სამტრედია), მეორემ — დ. ჩაჩიბაიას. ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. იოსელიანი — გ. მაჭარაშვილი, რ. კაპანაძემ მოუგო რ. ლომიძეს (გარდაბანი).

თითქმის უბრძოლველად, ერთ საათში დაზავდნენ ა. შახტახტინსკი და რ. დადიანი (ორივე — სოხუმი).

VII ტურიდან გადადებულ პარტიაში კუზმინი დანებდა ჩიქოვანს.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ზ. სტურუა, დ. გედევანიშვილი — 7,5-7,5 ქულა, ი. ჩიქოვანი, გ. ზაიჩიკი — 7-7, ე. უბილავა — 6. ნ. იოსელიანს 4,5 ქულა აქვს.

**რ. თავარიანი,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

ჭადრაკი

# სერიოზული პრობლემები

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში, რიგაში მოეწყო მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, უკრაინის, მოლდავეთის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, საქართველოს, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები (თითოეულ გუნდში 6 ჭაბუკი და 2 გოგონა). ეს ასპარეზობა გენერალური რეპეტიცია იყო მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის წინ.

საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაში წარსდგა ასეთი შემადგენლობით: ოსტატობის კანდიდატები იგორ კუზმინი (თბილისი), გია გიორგაძე (ქუთაისი), ციალა ქასოშვილი (გორი), თამილა მესხი (ქუთაისი), პირველთანრიგოსნები დავით ჩაჩიბაია, გიორგი ბალათუროვი (ორივე — თბილისი), ემზარ ხელაძე (ქუთაისი), გელა გიორგაძე (გულრიფში).

ჩვენმა ნაკრებმა ნახევარფინალში III ადგილი დაიკავა. აი, მისი შედეგები: ლატვიასთან 3:5, ლენინგრადთან 5,5:2,5, ესტონეთთან 3,5:4,5, აზერბაიჯანთან 3,5:4,5, უკრაინასთან 5:3. ფინალში საქართველოს მოჭადრაკეებმა სამივე შეხვედრა წააგეს: მოსკოვთან 2:6, უზბეკეთთან 2:6 და ბელორუსიასთან 3:5.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრები V ადგილზე გავიდა. მას გაუსწრეს მოსკოვის, უზბეკეთის, ბელორუსიისა და უკრაინის კოლექტივებმა.

გთავაზობთ გუნდის თითოეული წევრის შედეგებსაც: კუზმინი — 2,5 ქულა 8-დან, გია გიორგაძე — 4, ჩაჩიბაია — 2, ხელაძე — 5 (III ადგილი დაფაზე), გელა გიორგაძე — 2,5, ბალათუროვი — 4, ქასოშვილი — 1,5, მესხი — 6,5 (I ადგილი დაფაზე).

როგორც ხედავთ, საქართველოს ნაკრებმა 8 შეხვედრიდან 6 წააგო. დამაფიქრებელია (მცირე გამონაკლისით) ჩვენი მოჭადრაკეების პირადი შედეგებიც. ნაკრების წევრთა უმრავლესობა წვრთნას გადის უმაღლესი სპორტული ოსტატობის თბილისისა და რესპუბლიკის № 3 სკოლის ჯგუფებში. ჩანს, აქ მეცადინეობაში სერიოზული ხარვეზებია. რიგაში ამ სკოლების აღზრდილებმა სუსტი თეორიული მომზადება აჩვენეს, რის გამოც ხშირად სასტიკ ცაიტნოტში უხდებოდათ თამაში.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალის ორი საგზურისთვის ჩვენთან ერთად იბრძოდნენ უკრაინისა და უზბეკეთის გუნდები, რომლებთანაც ერთ ჯგუფში ვართ. თუ ღლევანდელი შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოს ნაკრები სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. ნაკრების მწვრთნელებს ოსტატებს ი. ჩიქოვანს (უფროსი მწვრთნელი), ე. უბილავასა და თ. ლომაიას დიდი მუშაობა მართებთ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა დაიწყება ტაშკენტში 11 ოქტომბერს. დარჩენილ დროში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები ღირსეულად წარსდგეს საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში.

**ს. მეგრელიშვილი,**
**რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.**



## მოსწავლეთა საგაზაფხულო სტარტები

საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში თურქმენეთის უდიდესი სტადიონების სტუმრები ნორჩი სპორტსმენები იყვნენ. ამ დღეებში საკავშირო ალკკ XVIII ყრილობისა და კომკავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში 5 ათას ბავშვზე მეტი ჩაება. შეჯიბრების პროგრამაშია: მძლეოსნობა, ფარიკაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი და სპორტის სხვა სახეობები.

ეს ასპარეზობა, რომლის დევიზია „ოლიმპიელები ჩვენს შორის“, ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია მოსწავლეთა ტაშკენტის XV საკავშირო სპარტაკიადის ფინალისთვის. შეჯიბრების მთავარი მიზანია მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

ამჟამად საპატიო სამკერდე ნიშანს დაახლოებით 120 ათასი თურქმენი მოსწავლე ფლობს. მათ რიგებს ყოველწლიურად ათი ათასობით გოგონა და ჭაბუკი ემატება.

**ა. ძიუგლო,**
**საკდესის კორ.**

აშხაბადი.

## მიწისქვეშა ბილიკებით

ხაბაროვსკის სამხარეო ტურისტულ კლუბთან ჩამოყალიბდა ინსტრუქტორ-სპელეოლოგთა სკოლა, რომლის მსმენელთა უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეები არიან. აგერ მერამდენე წელია, სტუდენტები თავისუფალ დროს სახალისო მოგზაურობებს აწყობენ. ზაფხულში ისინი თავად წარუძღვებიან ენთუზიასტთა რაზმებს ამურისპირეთის ბილიკებზე. მათ მხარის ტერიტორიაზე მდებარე არაერთი კარსტული გამოქვაბულის გამოკვლევა აქვთ განზრახული.

ჩვენს ქვეყანაში

ტურიზმმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ხაბაროვსკში. მოგზაურობის 50 ათას მოყვარულს წინ ბაჟალის დათოვლილი მწვერვალები, შორეული აღმოსავლეთის ისტორიული ადგილები ელის.

**ე. გოლოდნიცკი,**
**საკდესის კორ.**

ხაბაროვსკი.

●

გაზაფხულის დადგომისთანავე დედაქალაქში, მდინარე მოსკოვზე პირველი წვრთნა დაიწყეს ნიჩბოსნებმა.

**ს უ რ ა თ ზ ე:** ნიჩბოსნები კრემლის სანაპიროზე.

საკდესის ფოტო.

## კიგანი — კომენტატორი

კევინ კიგანი, ინგლისის ეროვნული ნაკრების ყოფილ წევრებთან ჯეკი ჩარლტონთან და იან სტ. ჯონსთან ერთად არგენტინაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება, როგორც ტელევიზიის კომენტატორი.

## ფედერაციის გადაწყვეტილება

ფ. ბეკენბაუერი, რომელიც ამერიკის პროფესიულ კლუბ „ნიუ-იორკ კოსმოსში“ თამაშობს, არგენტინაში გფრ-ის ნაკრებთან ერთად არ გაემგზავრება. ეს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სპეციალურ სხდომაზე.

## „სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მე-16 ტირაჟი.

„სპორტლოტო“: 4, 24, 33, 42, 44, 45. შეღავათიანი ბურთულა — 31.

„სპორტლოტო-2“: 25, 26, 37, 39, 46, 49. შეღავათიანი ბურთულა — 42.

# ტრიბუნები დაცარიელდა

**ლონდონი.** ინგლისის სტადიონებზე მაყურებელთა რაოდენობის კატასტროფული შემცირების მთავარი მიზეზია ფეხბურთის გულშემატკივართა ხულიგნობა, — ამტკიცებენ „ბი-ბი-სის“ სპორტული რედაქციის ანკეტის ავტორები. გამოკითხვის შედეგად დადგინდა:

ინგლისელი მაყურებლების 90 პროცენტმა სტადიონზე სიარული შეწყვიტა იმის გამო, რომ მათ „აღიზიანებთ ფანატიკოსი გულშემატკივრების ხულიგნური გამოსვლები“;

65 პროცენტს არ მოსწონს ფეხბურთის კლუბების უმრავლესობის დაცვითი კონცეფციები;

მაყურებელთა 49 პროცენტს ხელს არ აძლევს ბილეთების სიძვირე;

გამოკითხულთა 44 პროცენტი აღშფოთებულია სტადიონებზე არსებული ანტისანიტარიით;

30 პროცენტი ვერ იტანს „ზუზუნს, სტვენას და ფეხბურთის ფანატიკოსთა მიერ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრისგან ატეხილ ხმაურს“... (საკდესი).

ფეხბურთი

# ეკონომიურ კრიზისთან მჭიდრო კავშირში

**როგორც** იტალიური გაზეთი „უნიტა“ იუწყება, სარდინიელმა ფეხბურთელმა პიეტრო პაოლო ვირდისმა (იგი 20 წლისაა), უარი განაცხადა „იუვენტუსში“ გადასვლაზე მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაო დიდ თანხად დაუთმეს ამ გუნდს. რა თქმა უნდა, ასეთი გადასვლები იტალიაში მრავლადაა, მაგრამ მათ საფუძვლად უდევთ ან ფეხბურთელის ღვაწლის შეუფასებლობა, ან მეორეხარისხოვანი გუნდიდან უკეთესში გადასვლა. პიეტრო პაოლო ვირდისის შემთხვევა კი გამონაკლისია. ახალგაზრდა ფეხბურთელმა უარი თქვა ისეთ გუნდში გადასვლაზე, რომელსაც უმაღლესი წარმატებები აქვს მოპოვებული.

ვირდისს არავინ ავიწროებდა (პირიქით, მისი გადაყვანა მოინდომეს კარგი თამაშისთვის), მაგრამ მან უარი თქვა იმიტომ, რომ იგი სარდინიელია, სარდინიაშივე დარჩება და ითამაშებს იქ, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობს.

ახალგაზრდა ფეხბურთელმა თავისი უარით პირველად აქცია საკითხი სადისკუსიოდ, რომ სამარცხვინოა ვაჭრობის საგნად გახადო ფეხბურთელი, რომ პროფესიულ ფეხბურთში პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიური კრიზისი. ეს წვავედ აყენებს საკითხს ადამიანურობის, ჰუმანიზმის პრობლემებზე, რომ პირველ რიგში უნდა იყოს ადამიანი და მისი ინტერესები.

ვფიქრობთ, ისტორია აქ არ დამთავრებულა. ფეხბურთის მესვეურთათვის ეს ჟესტი გაუგებარია, ვინაიდან 20 წლის ფეხბურთელისთვის ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება შეუძლებელია. ეს კარზე მომდგარი ბედისთვის ხელის კვრას ჰგავს, მაგრამ ბიზნესმენებს შეეშალათ ის, რომ ერთი არშინით ყველა არ იზომება.

ვაჭრობა ფეხბურთში მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიურ კრიზისთან. ამ ბოლო დროს კომერციის ძველი პრიმიტიული წესი შემოიღეს — ვაჭრობა გაცვლით, ნატურით: გაძლევ ერთ თავ ყველს, მაძლევ კვერცხს და ფქვილს, მიშენებ სახლს — გაძლევ ცხენების ჯოგს, გაძლევ ცენტრალურ თავდამსხმელს — მაძლევ სამ ნომერ მოთამაშეს და ა. შ. ვირდისის ისტორიაც ამისი დადასტურებაა.

თარგმანი იტალიურიდან.



# სპორტი — ცხოვრების თანამგზავრი

**ხევეროდონეცკიდან** წერილი მოვიდა. გვწერს თანამემამულე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, არქიტექტორი ნუგზარ ვაჭრიძე.

„როგორც ყველა ქართველი ბიჭუნა, ბავშვობაში მეც ვთამაშობდი ფეხბურთს. უფეხბურთოდ ვერც ახლა წარმომიდგენია თავი — სხვადასხვა შეჯიბრებებში ვიცავ ჩვენი ორგანიზაციის კარს. შემიძლია ისიც ვთქვა, რომ სპორტი ჩემი ცხოვრების თანამგზავრად იქცა. როგორც ყველა არქიტექტორს, მეც მიყვარს ხატვა, ფერწერა, მიტაცებს კარიკატურული ჟანრიც. ბევრს ვხატავ და უმთავრესად სპორტულ თემებზე“...

მკითხველს ვთავაზობთ ნ. ვაჭრიძის ნახატ-ხუმრობას.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07705